მწვანე ალტერნატივა
მისამართი: თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. №27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73 / 222 38 74
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას საჩივარი
ტელეკომპანია მეცხრე არხის თვითმარეგულირების ორგანოს

26.04.2013

ამა წლის 22 აპრილს, ტელეკომპანია მეცხრე არხის ეთერში, საინფორმაციო გადაცემაში - ახალი მეცხრეზე, გავიდა სიუჟეტი „ახალი დასკვნა ხუდონზე, ახალმა მასალებმა ჰესის ირგვლივ უთანხმოება უნდა გააბათილოს“. სიუჟეტის ავტორები:

სიუჟეტის თანახმად, ხუდონჰესის მშენებელი კომპანია „ტრანსელექტრიკა“ უახლოეს დღეებში აპირებდა ახალი კვლევის წარმოდგენას; ეს ანგარიში უპასუხებდა აპრილის დასაწყისში ნიდერლანდების სამეფოს გარემოზე ზემოქმედების კომისიის ექსპერტთა მიერ გამოთქმულ ყველა შენიშვნას.
ჩვენი აზრით, სიუჟეტი იყო მიკერძოებული და მიმართული იყო ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენისთვის, სახელდობრ:

1) სიუჟეტში გამოყენებული იყო ნაწყვეტები ინტერვიუდან, რომელი ჩაწერილი იყო ასოციაცია მწვანე ალტერნატივას თავჯდომარესთან, მანანა ქოჩლაძესთან (22.04.2013). სახელდობრ, **„არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც კარგად არ არის განხილული, როდესაც ინვესტორი ამას წარმოადგენს იმის... ანალიზი მოხდება, მერე ვილაპარაკოთ იმაზე ეს სრულყოფილად არის წარმოდგენილი თუ არა“.**

   ინტერვიუს ნაწყვეტი მოყვებოდა სიუჟეტის შემდეგ საავტორო ტექსტს:

   „უცხოელ ექსპერტთა მიერ კლიმატზე და ბიომრავლფეროვნებაზე ხუდონჰესის რისკების უარყოფის მიუხედავად, ქართველ ეკოლოგთა ერთი ნაწილი მაინც ეწინააღმდეგება 700 მეგავატიანი ობიექტის მშენებლობას, მათთვის დიდი ჰესები გარემოსდაცვით სტანდარტში ვერ ჯდება“.

   რესპოდენტისთვის მეცხრე არხის კორესპონდენტის მიერ დასმული კითხვა შეეხებოდა, ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებას თუ რამდენად დააკმაყოფილებდა ინვესტორის მიერ მომზადებული დოკუმენტი ნიდერლანდების სამეფოს გზშ კომისიის ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. აღსანიშნავია ისიც, რომ არც ერთი აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებული არ არის. შესაბამისად, რესპოდენტის პასუხი იყო სრულიად შესაბამისი დასმული კითხვის.

   თუმცა მეცხრე არხის ჟურნალისტის მხრიდან, არ დასმულა არც ერთი კითხვა არც ორგანიზაციის „კატეგორიულ პოზიციაზე“, და არც „ქართველ ეკოლოგთა წინააღმდეგობაზე“, და არც იმაზე „ჯდებოდა თუ არა დიდი ჰესები გარემოდაცვით სტანდარტში“.

2) სიუჟეტში მ.ქოჩლაძის ინტერვიუს ნაწყვეტს მოსდევდა შემდეგი საავტორო ტექსტი:

   „დიდ ჰიდროელექტროსადგურებთან მიმართებაში, გარემოსდამცველთა კატეგორიული პოზიცია გამიზნულად თუ უნებლიეთ თანხვედრაში მოდის უმსხვილესი რუსული

www.greenalt.org

ენერგოკორპორაციების ინტერესთან, რომლებიც მეზობელ ქვეყნებში განახლებადი ენერგიების მძლავრი წყაროების განვითარებას ფარულად ბლოკავს. უკვე არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც თურქეთის მზარდ ენერგეტიკული მოთხოვნილებებს გაზპრომი სომხეთში კუთვნილი თბოგენერაციის ობიექტების ამოქმედებით დააკმაყოფილებს. ამ სქემით ელექტროენერგიის ნაკადი სომხეთიდან თურქეთში საქართველო ენერგო სისტემის გავლით მოხვდება, რომელიც გარემოსდამცველთა წინააღმდეგობის გამო შესაძლებელია სასიცოცხლოდ აუცილებელი სიმძლავრეების და საექსპორტო პოტენციალის გარეშე დარჩეს“.

სიუჟეტის მიკერძოებულ ხასიათზე მეტყველებდა აგრეთვე ინტერვიუ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრთან, ბატონ კახი კალაძესთან, რომელიც მოსდევდა საავტორო ტექსტს:

„ალბათ ის ადამიანები, სასმენ ორგანოებთან გარკვეული პრობლემები აქვთ, და ვერ იგებენ თუ რა არის ჩვენი ხელისუფლების და მთავრობის მიდგომა, ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენებთ რესურსებს, რომელიც გააჩნია ქვეყანას იმისთვის რომ მივიღოთ ახალი ჰიდროელექტრიოსადგურები, დამატებითი ელექტროენერგიის წყაროები, გამოყენებული იქნება იმისთვის რომ ქვეყანა იყოს რომ ენერგოდამოუკიდებელი და ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს უახლოეს მომავალში. ეს არის ჩვენთვის ძალიან პრინციპული და ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი ქვეყნის ბედს ვერ გადავაყოლებთ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას და მათ მიერ რაღაც შეჩერებული პროექტების გამო აღებულ დაფინანსებას, რომელსაც ისინი იღებენ უცხოეთიდან.“

შესაბამისად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ სიუჟეტში ადგილი ჰქონდა ტელეკომპანია მეცხრე არხის მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევას. სახელდობრ დაირღვა:

1) **მესამე თავი, ჯეროვანი სიზუსტის პრინციპი, მუხლი 14, (3, 9):**

- მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციის წყაროს შესაძლო დაინტერესება ან მიკერძოებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას და მიიღოს ყველა გონივრული ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად. (მუხლი 14, 3)

- ინტერვიუების, ჩაწერილი მასალის, მათ შორის საარქივო მასალის რედაქტირებისას, მაუწყებელმა არ უნდა დაამახინჯოს რესპონდენტის ციტატა, ან არ უნდა მოახდინოს სხვა სახით აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა ვიზუალური ან აუდიო მანიპულაციებით, დასმული კითხვების მნიშვნელობის შეცვლით ან კონტექსტიდან ამოვარდნილი კადრების გამოყენებით. (მუხლი 14, 9)

2) **თავი მეოთხე, მიუკერძოებლობის პრინციპი, მუხლი 15, 16 (2,4) და მუხლი 18** (2):

- ახალი ამბების გადაცემისას, მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიუკერძოებლობის პრინციპის განუხრელი დაცვა (**.მუხლი 15)**
- პოლიტიკური, ნებისმიერი სახის დაპირისპირების ამსახველი ან მიმდინარე საჯარო პოლიტიკის საკითხები, რომლებზეც მიმდინარეობს დებატები არ უნდა შუქდებოდეს მაუწყებლის პირადი დამოკიდებულების ან მოსაზრების საფუძველზე. დაუშვებელია პროგრამაში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი პოზიციის გამოხატვა. (მუხლი 16.2)

www.greenalt.org

- მაუწყებელი ვალდებულია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნოს ფაქტი და კომენტარი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაცია. (მუხლი 16.4)
- პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება, თუ ის არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს. (მუხლი 18,2)

მწვანე ალტერნატივა მიიჩნევს, რომ სიუჟეტი მომზადდა მიკერძოებულად და ის მიმართული იყო ჩვენი ორგანიზაციისა და გარემოსდამცველთა პოზიციებისა და როლის ნეგატიურად წარმოჩინებისთვის.

მოგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი თვითრეგულირების ფარგლებში უნდა იქნეს განხილული და ტელეკომპანიამ თანაზომადი საშუალებით უნდა შეასწოროს და უარყოს მიკერძოებულად და უარგუმენტოდ მომზადებულ გადაცემაში მაყურებელთა შეცდომაში შემყვანი ტექსტი.

მანანა ქოჩლაძე

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას თავჯდომარე

www.greenalt.org